წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი, 24 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისში, ქ, კნ. მიქელაძის სახლებში

№ 492 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 492

ეროვნული ბიბლიოთეკა


**მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის**

**გამგეობა**

აცხადებს, რომ თანახმად შეერთებული კრებისა ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის გადაწყვეტილებისა 20 ამა ნოემბერს, დანიშნული 5 დეკემბერს ამა წლისა ვაჭრობა უძრავის ქონებისა, რომელიც ეკუთვნოდა

**თ-დ კონსტანტინე ერისთავს,**

და გამოცხადებული იყო, გაუქმებულია და არ შესდგება.

თავმჯდომარე გამგეობისა მგ. ალ. ლორთქიფანიძე.
დირექტორი ი. ფანცხავა.
მდივანი პ. ლორთქიფანიძე.

---

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ორშაბათიდან 21 ნოემბრიდან საუკეთესო პროგრამა

**ფრინველთა სამეფოს წარმომადგენლები და მათი ცხოვრება**

(ბრტყელფეხიანები)

სანახაობა, ფერადებით.

ოჯახის ბედნიერება — კინო მეისა 4 ნაწ. ლ. ტოლსტოის მოთხრობის აზრის მიდევნით ორლოვისა და გედიკეს მონაწ.

**ტყუილი შიში** სახუმარო.

---

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ორშაბათიდან, 21 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

**სერბეთის მეფის შვილი ვერდენში**

სანახაობა; ნამდვილიდან

**გაზაფხულზე გავშვი, ვარდს ნუ ეტანები** — კინო-ილიუსტრაცია ცნობილ რომანსისა კარა მანოვისა და რიმსკის მონაწილეობით.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბაღახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანდიბაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ჟღავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად ადარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ექიმი ი. ჩარქველი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

---

**ექიმი გაბრიელ იოსების ძე ბოკერია** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ხსვრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

4-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.

თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

---

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.


# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან.**

**21 ნოემბერი.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სვინიუხას სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. ტერემპოვიცის მიდამოებში მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ. მდ. ბისტრიცაზე ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს და სოფ. კოსმაჩის მიდამოებში ტყვეებიც იგდეს ხელთ. ტყიან კარპატებში, ვოროხტის სამხრეთ-დასავლეთით 6 ვერსზე ჩვენ მიერ დაჭერილ მაღლობებს მოპირდაპირემ ორჯელ თავგანწირვით შემოუტია, მაგრამ დაზარალებული უკან ვე გავაბრუნეთ კირლი-ბაბას ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთის მიდამოებში მოპირდაპირე იერიშებით მიდიოდა ორი ზედიზედ მოტანილი იერიში მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ოგნოტის დასავლეთით ოსმალებმა 2 ბატალიონით შემოგვიტიეს. მოპირდაპირის ძლიერი მოწინავე რაზმები ოგნოტის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მუშის აღმოსავლეთით შეეცადნენ წინ წამოწევას, მაგრამ მოვიგერიეთ. ბითლისის მიმართულებით იერიშით წამოსული ოსმალთა ბატალიონიც მოვიგერიეთ. ვანის ტბიდან ჩვენმა გემმა „პლასტუნმა“ ვასტანისაკენ მიმავალ აქლემების ქარავანს დაუშინა და ვასტანიდან მაშველად წამოსული 300 ცხენოსანი დაიფანტა. ქამადანის მიმართულებით, ყაზვინის სამხრეთ დასავლეთის მხარეს, ს შარაევის მიდამოებში ოსმალების საფრენი დაეშო. რაკი ვეღარ აამოძრავეს, მფრინავებმა საფრენს ნავთი გადაასხეს და დასწვეს, თითონ კი მიეფარნენ.

**რუმინეთის ასპარეზი.** ტრანსილვანია მდ. ტროტუშისა და სულტის ველებში მარჯვეთ მიგვქონდა იერიშები და ავიღეთ სოფ. ას ჟული და სულტა. ხელთ ვიგდეთ 800 ტყვე და ტყვიისმფრქვეველები.

**დუნაის ასპარეზი.** მდ. არგისის ველში მოპირდაპირის იერიშები არა სცხრება. ამ მიდამოებში შეჯახებას დიდი ბრძოლის სახე ეძლევა. მოპირდაპირის ცხენოსანი ჯარი სამხრეთიდან ზურგით უვლიდა რუმინელების ჯარს, რომელიც იძულებული გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაეხია. ბუქარესტის დასავლეთით, რუსეთის მაშველი ჯარის მისვლის შემდეგ, საქმე მარჯვედ მიდის. ბულგარელ გერმანელთა ჯარი იძულებულია უკან დაიწიოს. აქ ხელთ ვიგდეთ 26 ზარბაზანი, ტყვეები და დავლა.

**22 ნოემბერი.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი ბელვოვის მიდამოებში გერმანელმა მზვერავებმა ჩვენი მავთულების ხლართებთან მოახლოვება სცადეს, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ტყიან კარპატებში მაღლობების ხელში ჩასაგდებად ბრძოლა გრძელდება. აქ ჩვენმა ჯარმა, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, ვაჟკაცურის შეტევით აიღო მაღლობი იაბლონიცის სამხრეთ დასავლეთით 3 ვერსზე.

**კავკასიის ასპარეზი.** მთელ ბრძოლის ხაზზე სიწყნარეა, ადგილ ადგილ არის სროლა.

**რუმინეთის ასპარეზი.** ტროტუშის ჩრდილოეთით მოპირდაპირემ მედგარის თავგანწირვით შემოუტია ჩვენს ჯარ ახლად დაპყრობილ მაღლობებზე; ორიშე მოტევა შევაჩერეთ. ტროტუშის სამხრეთით ცხარე ბრძოლა გრძელდება. პიტეშტი ტორგოვისიას გზით რუმინელებმა, მტრის გამუდმებულ იერიშების გამო, უკან დაიხიეს. ალექსანდრია-ბუქარესტის მიმართულებით და მის სამხრეთით ცხარე ბრძოლაა. აქ მოპირდაპირემ ერთხანს მოგერიება იწყო და უკანაც დაიხია, მაგრამ მაშველი ჯარის მიღებისათანავე კვლავ შემოგვიტია და ბუქარესტის სამხრეთით მდებარე სოფ. გრადიშტე აიღო. ბუქარესტის სამხრეთ დასავლეთით რუმინელების რაზმები მტრის ჯარს ზურგიდან მოექცნენ და იერიშით მივიდნენ. მოპირდაპირემ უკან დაიწია. დუნაიზე თოფების სროლაა.

დობრუჯში მოპირდაპირემ იერიშით წამოსვლა სცადა, მაგრამ ზარბაზნისა და თოფების სროლით შევაჩერეთ.

**21 ნოემბერი.**

**რომი.** მტრის მფრინავებმა ვიჩენცას ყუმბარები დაუშინეს. ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა. ყუმბარებით მხოლოდ სანტა-კარენის ეკლესია დაზიანდა.

**ლონდონი.** საადმირალოს ცნობა. საფრანგეთის ასპარეზზე ჩვენმა საზღვაო საფრენებმა მოპირდაპირის გაქანებულ სამხედრო მატარებელს ყუმბარები დაუშინეს ლოკომოტივზე მყოფნი დაჭრილნი ძირს გადმოცვივდნენ. გაქანებული მატარებელი უხელმძღვანელოდ განაგრძობდა გზას.

**21 ნოემბერი.**

**ათინა.** 18 გიორგობისთვეს, შუადღით 12 საათზე, პირეიაში გადასხეს ფრანგ-ინგლისელ-იტალიელთა მეზღვაურები. ფრანგი მეზღვაურები მშვიდობიანად გადვიდნენ ნაპირზე შემდეგ კი არეულობა მოხდა. პნიკსზე ბერძნებმა თოფის სროლა აუტეხეს ინგლისელ მეზღვაურებს. ესროდნენ აგრეთვე იტალიელებს, რომელნიც რუხის ყაზარმაში დაბინავდნენ. ზეპეიონს, სადაც ფრანგი მეზღვაურები იყვნენ, ბერძნებმა 2 ზარბაზანიც ესროლეს მაღლობებიდან. რამდენიმე მეზღვაური დაიჭრა ფრანგებს არ უპასუხნიათ. მოკავშირეთა ქვეითა ჯარი ქალაქში არ შეუყვანიათ. ათინა ღელავს. მაღაზიები დაკეტილია.

**ათინა.** მდგომარეობა თანდათან რთულდება. ნაშუადღევის 2 საათზე მოკავშირეთა დესპანები გილემი, დემიდოვი და ელიოტი საფრანგეთის მისსიიდან ეპეიონს გაემგზავრნენ, სადაც ადმირალი ფურნიე იმყოფება. ქალაქის სხვა და სხვა უბანში სროლა იყო თოფებისა და ტყვიისმფრქვეველებისა. ადამიანის მსხვერპლიც იყო. ათინა ალყაშემორტყმულ ქალაქს ემსგავსება. რეზერვისტები ფორმით თუ ერისკაცულად გამოწყობილნი ქუჩა-ქუჩა დადიან და თოფებს უშენენ ვენიზელოსის მომხრეებს და საფრანგეთ-ინგლისის საელჩოებს.

**ათინა.** ღამის 11 საათზე საფრანგეთის საელჩოსთან სროლა გრძელდებოდა. ქუჩაში მოკავშირეთა დესპანების თათბირი მოხდა. იტალიის ელჩიც დაესწრო. მოკავშირეთა სამხედრო გემებმა ზეპეიონს ზარბაზნები დაუშინეს ბერძნების ზარბაზნების ჩასაჩუმებლად. შუაღამისას სროლა შესწყდა.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო“-ს ათინიდან ატყობინებენ: მეფე კონსტანტინემ ღვინობისთვეში აღუთქვა მოკავშირეებს არტილერიის დათმობა, რაც კი საბერძნეთის თოფხანებში ინახებოდა. გავიდა ვადა პირველი ნაწილის მიღებისა და ადმირალმა ფურნიემ ათინაში მეზღვაურები გადასხა მოსალოდნელ არეულობის დასაცხრობად. საბერძნეთის ჯარმა მტრული განწყობილება გამოიჩინეს ფრანგ მეზღვაურების მიმართ, რომელნიც ზეპეინში მოთავსდნენ. ზეპეინს დაუშინეს თოფები, ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნებიც. რამდენიმე მოკლული და დაჭრილია. მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გადაჭრილი ზომები მიიღონ მომხდარ ამბების გამო სრული დაკმაყოფილების მისაღებად.

**პირეი.** საბერძნეთის ბატონიშვილი ანდრია მეტისმეტად შეურიგებელი რამ გამოდგა და მოკავშირეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მტკიცე უარზე სდგას. იგი პირიქით აქეზებს კიდეც აფიცრებს წინააღმდეგობის გაწევაში.

**პარიზი.** მოკავშირე სახელმწიფოები სცდილობენ სრული დაკმაყოფილება მიიღონ 18 გიორგობისთვეს ათინაში მომხდარ ამბების გამო.

„მატენ“ს მარსელიდან დეპეშით ატყობინებენ: მოკავშირე სახელმწიფოთა გადაწყვეტილებით, მარსელში მყოფ საბერძნეთის გემებს ყადაღა დაადის.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ: 19 ნოემბერს საღამოს 6 საათზე ცეცხლი ჩანელდა და ბოლოს სულაც ჩაქრა. მოკავშირეთა ჯარი პირეიდან გაიყვანეს. საბერძნეთის მთავრობამ ადმირალ ფურნიეს 6 სამთო ბატარეა შეაძლია, მაგრამ მოკავშირეთა ელჩებს თავიანთ მთავრობებისაგან ინსტრუქციები მოუვიდათ. მოკავშირეთა მთავრობანი იმ აზრისა არიან, რომ მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ მარტო სამხედრო მასალის გადაცემით ვერ გადასწყდება და საჭიროა, რომ საბერძნეთის მთავრობამ მდგომარეობის შესაფერად დააკმაყოფილოს მოკავშირენი.

**ათინა.** ათინის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება: ათინაში მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფელად მთავრობამ სასტიკი ზომები იხმარა. წესიერება დამყარდა. 20 ნოემბრის ღამემ მშვიდად ჩაიარა. დღეს ქალაქი ჩვეულებრივად გამოიყურება. ქალაქის კომენდანტის ბრძანებით კერძო პირთ იარაღი უნდა ჩამოართვან. რაკი მთავრობა ადმირალ ფურნიეს დაჰპირდა ბატარეებს ჩაგაბარებთო, ფრანგთა რაზმი ქალაქიდან გავიდა. იგი ხალხმა და ბერძნების ჯარმა სალამით გააცილა. გუშინ დაატუსაღეს ისენი, ვინც სახლის ფანჯრებიდან ისროდა. დატუსაღებულია 60 კაცი. გუშინ სროლის დროს დაიჭრა 3 ჯარისკაცი. ერის კაცთაგანი არავინ დაშავებულა. გუშინ და დღეს მეფის ადიუტანტმა პოლკოვნიკმა სკუზრეიმ დაჭრილი ფრანგი ჯარისკაცები ინახულა და მეფის სალამი გადასცა. დაჭრილებს დიდი ყურადღებით. უვლიან დახოცილ ბერძენ აფიცრებსა და ჯარისკაცებს დღეს ასაფლავებენ. ფრანგ და ბერძენ აფიცერთა სამხედრო კამისიას, რომელმაც შეტაკების მიზეზი უნდა გამოიკვლიოს, თავისი აზრი ჯერ არ გამოუთქვამს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

როგორც პარიზიდან იტყობინებიან, გერმანელები ბელგიას კონტრიბუციის სახით 50 მილ. მარკას გადაახდევინებენ ყოველ თვიურად. ბელგიის გენ. გუბერნატორს ფონ-ბისინგს ეს იმით აუხსნია, რომ ზემო აღნიშნული ფული ჯარის შესანახად გვჭირდებაო.

— გერმანელების რადიოტელეგრამა იტყობინება, რომ ინგლისელთა კრეისერი „ნევკესტლი“ 2 ნოემბერს მდ. ფერსოფპ-ფორსის პირთან ნაღმს წასწყდომია და დაღუპულა.

— ეგეის ზღვაში კუნძულ ტინოსთან გერმანელთა წყალქვეშამ დაღუპა საბერძნეთის გემი „მიხაილი“.

— პარიზიდან მიღებულ ცნობებია ისპანიის სანაპიროებთან გერმანელთა წყალქვეშას ამერიკის გემი „ჩემინგი“ ნაღმით დაუღუპავს. მეზღვაურნი და სხვა მსახურნი გადაურჩენიათ.

— შვედურ გაზეთებს ცნობა მიუღიათ, რომ რუმინიის ასპარეზზე ცენტრალ კოალიციის ჯარი ძალიან დაზარალებულა. „სვენსკ. ტაგებლადეტ“-ის ცნობით სამითვის განმავლობაში ხსენებულ ჯარს 330,000 კაცი დაჰკლებია. განსაკუთრებით დიდად შესუსტებულა გ. მაკენზენის ჯარი. დუნაიზე გადასვლის დროს ცხენოსანთა ერთი პოლკი და საინჟინერო ჯარის რამდენიმე ბატალიონი მთლიანად დაღუპილა.

— „ვაშინგტონ ტაიმს“-ში დაბეჭდილია ერთი წერილი, რომელიც ამ გაზეთის სიტყვით გერმანიის მთავრობას გრაფ ბერნსტორფისათვის უშავთულო ტელეგრაფის შემწეობით გამოუგზავნია ამერიკაში. ამ დეპეშაში სწერია:

„ამერიკიდან გამოგზავრებას ყოველ წუთს მოელოდეთ; წყალქვეშ ბრძოლა ისევ ტირპიცის ხელშია და ახლო მომავალში აუარებელი ჩვენი წყალქვეშა ამოქმედდება წინანდებურის სიმკაცრითა და სისასტიკით, რაც უეჭველია გერმანიასა და ამერიკას შორის ომს გამოიწვევს“. გაზეთის ცნობით ამ დეპეშის შინაარსი შემთხვევით გაუგიათ.

— ამ ათიოდე დღის წინად ლვინსკის სამხრეთით, ტბიან ადგილებში გერმანელთა ერთი თხრილი წყლით გაივსო; ის იყო გერმანელები ამოვიდნენ და უკან გაემართნენ, რომ რუსებმა იერიში მიიტანეს; დაინახეს თუ არა ეს გერმანელებმა, უკან დაბრუნდნენ და პირდაპირ წყლით სავსე სანგარში გადაეშვნენ; ყელამდი წყალში მდგარნი მაინც თავს არ ანებებდნენ

# ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. გალიციაში მცირე ბრძოლები ხდება. ტყიან კარპატებში რამდენიმე მაღლობის გარშემო ძლიერი ბრძოლები ატყდა. ქირლიბაბას ჩრდილოეთით და სამხრეთით გერმანელ ავსტრიელებს გამაგრებული იერიშები მოაქვთ, მაგრამ რუსები მათ იგერიებენ.

კავკასიის ასპარეზი. ვანის მიმართულებით მოქმედება შესწყდა. დანარჩენ ასპარეზზე უმნიშვნელო ბრძოლებია.

რუმინიის ასპარეზი. ტრატუშის ჩრდილოეთით ავსტრიელები მედგრად უტევენ, სამხრეთით კი ძლიერი ბრძოლებია.

პიტეშტი ტარგოვისის მიმართულებით რუმინელებმა უკან დაიხიეს. ბუქარესტის სამხრეთით ბულგარელებმა სოფ. გრადიშტე აიღეს.

დობრუჯაში იერიშით წამოსული მოწინააღმდეგე რუს-რუმინელებმა ზარბაზნების სროლით მოიგერიეს.

სანგარს. რუსებმა ზარბაზნების სროლა აუტეხეს; ამ დროს არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა: როგორც სჩანდა, რუსის არტილერიის სროლის წყალობით გერმანელების მთავარ პუნქტიდან სანგარში გაყვანილი ტელეფონი შეწყვეტილიყო; გერმანიის არტილერიისტებს საქმის ნამდვილი მდგომარეობა ვერ გაეგოთ, ჰგონებოდათ, რომ სანგარი რუსებმა დაიპყრეს და თვით დაუშინეს ზარბაზანი თავისივე ჯარის კაცებს. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ შეიგნეს თავის შეცდომა და შესწყვიტეს ზარბაზნების სროლა.

— საბერძნეთის მთავრობის ჯარი ათინიდან გავიდა და ავერისაკენ გაემართა. გაწვეულ იქნენ სათადარიგო ჯარი.

— ადმირალ ფურნიესთვის დაუვალებიათ, საბერძნეთის სანაპიროების გარემოცვა იმ შემთხვევაში, თუ მეფე კონსტანტინემ იარაღის გადაცემაზე უარით უპასუხა.

## სამხედრო მიმოხილვა

ამ ათიოდე დღის წინად კირლიბაბას მიდამოებში რუსებმა ძლიერი შეტევა დაიწყეს და პირველ დღეებშივე რამდენიმე მაღლობი დაიპყრეს.

შემდეგ ეს შეტევა უფრო სამხრეთით განავრცეს და მალე მთელი ბუკოვინისა და მოლდავიის ბრძოლის პირით რუსებმა და რუმინელებმა ძლიერი ბრძოლები ასტეხეს.

ამ ბრძოლების მიზანი ცხადი იყო; რუსისა და რუმინელთა შეერთებულ ჯარს სწადდა წინ წაწევით გენ. ფალკენჰაინის ჯარისათვის ზურგით შემოევლო და უკან დაეხივნა მას და დიდი ვალახიისაკენ წარმებული შეტევა შეეჩერებინა.

ასევე განმარტეს ამ ბრძოლების მნიშვნელობა რუსის სამხედრო ავტორიტეტებმა, მაგრამ რუს-რუმინელთა შეტევა გვიან მოხდა, რადგანაც გერმანელებმა უკვე მოასწრეს ვალახეთის მთელი დასავლეთის ნაწილის დაპყრობა.

წინად თუ ფალკენჰაინის ჯარი მხოლოდ ტრანსილვანიას ეყრდნობა ზურგით, გენ. ღელმენზინგენის მდ. ქიუს ველით წინ წაწევისა და მაკენზენის სამხრეთიდან შემოჭრის შემდეგ ცენტრალ კოალიციის ჯარს შეუძლია დაეყრდნოს, როგორც ორშოვას, ისევ კიდევ პირდაპირ ბულგარეთს; მაშასადამე კირლი ბაბა მოლდავიის ხაზზე რუს რუმინელების აქტივობას აზრი ეკარგებოდა და მალე შესწყვიტეს კიდეც იგი.

მეორეს მხრით უმჯობესი იქნებოდა ის ზედმეტი ჯარი, რომელიც ბუკოვინაში და მოლდავიაში იყო დაბანდებული, თავის დროზედ მოლდავიაში გადაეყვანათ; იქნებ მაშინ სხვანაირად წასულიყო რუმინიის საქმე.

რადგანაც, მეტი ჯარი რომ იქნებოდა, უფრო მეტი შეეძლებოდათ რუმინელებს და მეტ წინააღმდეგობას გაუწევდა გერმანელ-ბულგარელებს.

შვერელი.

## ქუთაისი 25 ნოემბერი.

**ყოველდღიური ჭირვარამი.** იმაზე უფრო საჭირვარამო და შემაწუხებელი რაღა იქნება, როგორც უშაქრობა და უპურობაა! შაქარი—სალარიბო, საიფო საზრდოა, აგრეთვე პურიც: სიმინდის მჭადი, თუ არაფერს შეატანე, უგემურია და უთერმონიოდ, როგორც მოგეხსენებათ, პურსაც კი არ აქვს გემო.

ნუგეშად ის-ღა დაგვრჩენია, რომ ეს ჭირი მარტო ქუთაისურებს არ დაგვტეხია თავს, არამედ საყოველთაოა. მაგრამ ერთი რამე კი უნდა ვთხოვოთ ჩვენს საზოგადო დაწესებულებათ და სხვათა შორის კოოპერატივებს: ცეცხლზე ნავთს ნუღარ დაასხმენ, ის ჭირიც გვაკმარონ, რაც აუცილებელია, და შაქრისა და პურის განაწილება მაინც მოაწყონ ისე, რომ ხალხი არ შეაწუხონ.

ნუ თუ არ შეიძლება, მაგალითად, შაქარი ოცადათსა და თუნდ ორმოცდაათ ალაგას დაარიგონ? გადაგვახდევინონ ერთი-ორად, ოღონდ ცხვრის ფარასავით ერთად ნუ შეგვყრიან და დილიდან საღამომდის ქუჩაში ნუ გაგვაჩერებენ! მერე კიდევ: კოოპერატივების წარმომადგენლებმა კეთილინებონ და ადრე დაიწყონ და გვიან გაათავონ ხოლმე შაქრის გაყიდვა!

რაც შეეხება პურის გაყიდვას, ვევედრებით კოოპერატივებს, ეს საქმეც მათ მოაწესრიგონ: მიიღონ ქალაქის თვითმართველობისაგან ფქვილი, დაიქირაონ თორნეები, ფურნეები და მცხობლები და გაანაწილონ თვითონვე. დარწმუნებული ვარ, რომ ამ წესით ბევრ ჩივილსა და სამდურავს მოეღება ბოლო! განვიმეორებ: ამ საქმეს მხოლოდ კოოპერატივების ჩარევა უშველის.

—

საფრანგეთში ასეთი ჩვეულებაა. თუ რომელმამე გაზეთმა საზოგადო მოღვაწეს ან მოხელეს მოვალეობის აუსრულებლობა შესწამა, უკანასკნელნი მოვალედ სთვლიან თავს, პასუხი გასცენ და დაამშვიდონ, როგორც პრესა, აგრეთვე საზოგადოება. ჩვენში კი ყურის მოყრუება იციან. მაგალითად, ამას წინეთ ჯერ „საქართველო“ და შემდეგ „სამშობლო“ „შავი ქვის მრეწველთა საბჭოს“ შეეკითხენ: რა ღონეს ხმარობს, რომ შავის ქვის მამულები, რომელნიც ჯერ კიდევ ქართველების ხელშია, უცხოელებმა ხელიდან არ გამოგვაცალონ, და, მართალია თუ არა, ვითომ სამადნო მიწები თითქმის მთლად გაყიდა და ქართველობამ ამ ერთადერთს ჩვენს სამრეწველო დარგში ფეხი ამოიკვეთა?! საბჭო კი სდუმს და ხსენებული გაზეთები პასუხის ღირსადაც არ გახადა. ცხადია, რომ პრესის ამგვარი ჩაუგდებლობა—აზიური წესია. მოეღება კი ბოლო ოდესმე ამ წესს? მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ დავიშლით და ხელმეორედ და, თუ საჭირო იქნება, კიდევ მრავალჯერ შევეკითხებით საბჭოს, ვიდრე იმდენად თავს არ შევაწყენთ, რომ პასუხს არ დაგვისტყუებთ. უნდა იცოდენ კი, რომ დუმილი ამგვარ შემთხვევაში ხშირად დანაშაულის მომასწავებელია!

—

ამას წინეთ კოტე ფოცხვერაშვილმა ქართული მუსიკის შესახებ ლექცია წაგვიკითხა. ბევრი მწარე ჭეშმარიტება გვითხრა, ბევრს რასზედმე თვალი აგვიხილა, ჩვენის სახალხო მუსიკის ღირსება ნათლად დაგვისურათა და ჩვენ მიერ ალსაარებული ბოშური, კაფეშანტანური მუსიკა წყალწავა კრულვით შეაჩვენა. ბევრს ჩვენს პატივცემულ მანდილოსანს, რომელსაც ფორტეპიანო იდეალად დაუსახავს, ეუცხოვა მისი მხილება. ბევრი, რომელსაც ჩვენებური მუსიკა ტურების ჩხავილად მიაჩნია, გაოცდა მაგრამ ოჩანი ჯორივით არა ტყდება და თავისი ეროვნული მუსიკის გამოქიქებას კვლავ განაგრძობს. და, სამწუხაროდ, მცირეოდენი-ღაა, რომელიც გამოჩენილი მემუსიკის აზრს იზიარებს.

დიახ! ჩვენი ეროვნული გადაგვარება გერეშეუწყერელია. სად-ღაა კანდელაკების, დუმბაძეების და სხ. გალობა? სად გაჰქრენ ის ციური ჰანგები?! და რატომ ამოვარდა ნეტარხსენებული გაბრიელის შემდეგ საკათედრო ეკლესიებში მათი სახსენებელი?!

მაგრამ ამ საქმეს სხვა გზით უნდა შემოუაროთ. კოტე ფოცხვერაშვილის აზრის თანახმად აუცილებლად ორი ეროვნული გუნდი უნდა შევქმნათ: ერთი თფილისში და ერთი ქუთაისში. და, ჩემი ფიქრით, მათი წინამძღოლობა ნასწავლ მემუსიკეს—თუნდ იმავე კოტე ფოცხვერაშვილს—უნდა ჩავაბაროთ.

ვფიქრობ, ამ ეროვნული საქმის მოწყობა ჩვენმა საკრედიტო დაწესებულებებმა უნდა იტვირთონ. რა დაუშავდება, მაგალითად, თფილისის სააღგილმამულო ბანკს, ამ საქმისთვის რომ წლიურად თუნდ 15 ათასი მანეთი გაიმეტოს, ან ქუთაისის ამგვარსავე ბანკს 5 ათასი მანეთის გაღებით?! რასაკვირველია, არაფერი. იმავე დროს ამით ჩვენს ეროვნულ მუსიკას საფუძველი ჩაეყრება: ყველაფრის შემმუსრველ დროს რაც გადარჩენია, შეიკრიბება, და ის, რაც დავიწყებისა და გადაგვარებისკენ დაქანებულა, მკვდრეთით აღსდგება, განახლდება და კვლავ განვითარდება. ეროვნული მუსიკის აღდგენა და განვითარება კი—ეროვნული სულის გამთელებას მოასწავებს!

ვისურვებ, რომ ქართული მუსიკის აღდგენის მონატრულთ ხსენებული ბანკების მმართველნიც გამოხმაურებოდნენ!

—

ქართული ენის გადაგვარება უკვე გრიგოლ ორბელიანმა გამოიტირა: „რა ენა წარხდეს, ერიც დაეცესო“, აღმოხდა გულიდან და მას აქეთ მიუხედავად აკაკისა და ილია ჭავჭავაძისა ქართულმა ენამ გადაგვარების ქმნადობას თავი ველარ დააღწია. მაგალითად, უკვე მდაბიო ხალხი ამბობს: „თმა ყალყზე დამიდგაო“; თითქო თმა ცხენი იყოს! ეს უგერგილო თქმა კი რუსულიდან თარგმნილია. მერე რა კარგია მისი საბადლო ქართული—„თმა ამებუძგა“!

დაგვავიწყდა, რა განსხვავებაა „მოკვდავსა“ და „მოკვდავებასა“ ერთი მხრით და „მომაკვდავსა“ და „მომაკვდაობას“ შორის მეორე მხრით და აღარ გვახსოვს, რომ „მომაკვდავი“ სულთამბრძოლს ეწოდება.

არაა მოსაწონი აგრეთვე ფორმები: „ვიწინასწარმეტყველე“, „ვეწინააღმდეგე“ და სხ. ქართულს უფრო შეეფერება: წინასწარვიმეტყველე, ალვიარე (და არა ვაღიარე), აღვადგინე (და არა ვაღადგინე). წინააღუდეგ (და არა ვეწინააღმდეგე) და სხ.

უარსაყოფელია, ჩემი ფიქრით, აგრეთვე: „აკმაყოფილებს“, „დამაკმაყოფილებელი“, „დააკმაყოფილა“ დაკმაყოფილდა და სხ. სჯობია: „კმაჰყოფს“, „კმამყოფელი“, ანუ კმასა ყოფელი“, „კმაჰყო“, იკმარა და სხ.

დიახ! ქართული უნდა ალვადგინოთ. ამ დიდ საქმეში კი უმთავრესად იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე და სხვა ძველი მწერლები უნდა მოვიშველიოთ. სამწუხაროდ, მათ ვერ ვიცნობთ და არც გვინდა ვიცნობდეთ. გადავგვარდით. მაგრამ, საბედნიეროდ, განახლების მომასწავებელ ნიშნებსაც ვხედავთ და შორს აღარ უნდა იყოს ის დრო, როდესაც ქართული ენა მკვდრეთით აღსდგება. მაშინ კი თვით ქართველი ერის დასნეულებული ორგანიზმიც გამთელდება.

ვასილ წერეთელი.

## სახელმწიფო სათათბირო

### ტრეპოვის სიტყვა.

19 ნოემბერს გაიხსნა სათათბიროს სხდომა; იგი დაიწყო მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის, ტრეპოვის, სახელმძღვანელო სიტყვით ტრეპოვმა პირველად ის აღნიშნა, რომ 28 თვე სრულდება, რაც გერმანელთა მიერ დაწყებული ომი მძვინვარებს; რუსეთი არ დასთანხმდება ზავს, სანამ არ გაიმარჯვებს; უკანასკნელ ჯარის კაცს დავაყენებთ თოფქვეშ, მთელ სახელმწიფო ქონებას გავსწირავთ; მაგრამ ომს ბოლომდის მივიყვანთო; სახელმწიფოს დაცვისათვის მთავრობის გარდა დიდი უნარი გამოიჩინეს ერობამ, ქალაქებმა და საზოგადოებრივ დაწესებულებებმა, რასაც მთავრობა დიდათ აფასებს და ხელსაც შეუწყობს; მთავრობის ხელმწიფება ძლიერი და უდრეკი უნდა იყოს; სასურსათო საქმის წესრიგი უნდა გადაისინჯოს: შესაძლოა ნებადართვის და აკრძალვის წესს მოვშორდეთ და სავაჭრო გაცვლას მეტი თავისუფლება მივანიჭოთ; საჭიროა სარკინისგზო მიმოსვლის მოწესრიგება, ახალ გზათა შენება, აგრეთვე ლითონისა და სათბობი მასალის მეტი დამუშავება.

„ომის შემდეგ ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს თვითმყოფი, ყოველივე თავისი საჭიროება თვითონ რომ დაიკმაყოფილოს; ომი საშინელებაა, მაგრამ მას განახლებაც მოაქვს თან; ბრძოლის ველებზე ახალი სიცოცხლე იშვება; ჩვენი სახელმწიფოც უნდა განახლდეს, აღორძინდეს და თავი გაიათავისუფლოს იმ უცხოელთაგან, ჩვენი ძალების განვითარებას ხელს რომ უშლიან; ომს დიდი ეკონომიური აყვავება მოსდევს; მოვალენი ვართ, რომ თავგამოდებული მუყაითი შრომით ნიადაგი დავუმზადოთ; საქმე ბევრია; თქვენ, ხალხის წარმომადგენელნო, შემოქმედებით მუშაობას მოგიწოდებთ; ქვეყნის სარგებლობა იმას მოითხოვს, ყოველივე დავა და შუღლი ჩვენ შორის რომ მოისპოსო“.

მთავრობას ჰსურს კანონმდებ. დაწესებულებებთან ერთად მუშაობა და იმედია, რომ სათათბიროც ამავე გზას დაადგება; უნდა მოვაწყოთ საომარი მასალის ქარხნები და ფაბრიკები; უნდა მოვაგვაროთ სწავლა-განათლების საქმე, განსაკუთრებით საჭიროა პროფესიონალი სკოლები: უნდა ავსწიოთ ხალხის კულტურული დონე; უნდა მოვამზადოთ მშვიდობიანი შრომისათვის საჭირო ლაშქარი და მივცეთ მას ხელში იარაღი ცოდნისა და ჭკუის განვითარებისა, სამშობლოს სიყვარულით გამთბარისა და ეროვნულ მიზანთა სწორი წარმოდგენით განათებულისა.

მთავრობა მომხრეა, რომ საერობო ერთეულის და საქალაქო თვითმართველობის საკითხი მალე გადასწყდეს; უფრო პროგრამა შეუძლებელია, რადგან რა ვიცით, მიუდგება თუ არა ახლა, ომის დროს, გამოცემული კანონები, მშვიდობიანობის ხანას; მორიგი საქმეები კი ასეთია: ხარჯთ აღრიცხვის და სარკინიგზო შენობების გეგმის შედგენა აგრეთვე ვაჭრობა მრეწველობის დარგთა მოწესრიგება, ქვეშევრდომობის საკითხი, **კავკასიაში ერობის შემოღება**, გადამდებ სნეულებებთან ბრძოლა, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება იმ წყალვარდნილებისა, რომელთაც ძალის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს და სხვა ასეთი.

ჩვენ კიდევ დიდი ხნის ბრძოლა გვმართებს, რომ გავიმარჯვოთ; მტერისგან დაკავებული პოლონეთის სამეფო უნდა დავიბრუნოთ, აგრეთვე ის პოლონური მიწებიც უნდა დავიპყროთ, გერმანეთს და ავსტრიას რომ ეკუთვნის, და შევქმნათ თავისუფალი პოლონეთი მის ეროვნულ საზღვრებში, მაგრამ რუსეთთან შეკავშირებით.

ჩვენი მოკავშირეები უკვე 1915 წელს შეგვპირდენ, რომ დარდანელების სრუტე და სტამბოლი რუსეთს მიეკუთვნებაო, ამგვარად ჩვენ გვეძლევა თავისუფალი გზა ხმელთაშუა ზღვისაკენ; რასაკვირველია, ჩვენ თავისუფალ გზას მივცემ რუმინელებსაც, დაბოლოს ტრეპოვმა კვლავ მოუწოდა სათათბიროს მთავრობასთან შეთანხმებით იმუშავეთ და გამარჯვებისაკენ სვლა გაგვიადვილეთო.

ტრეპოვის შემდეგ ლაპარაკობს პურიშკევიჩი. იგი ყურადღებას აქცევს იმ საწინააღმდეგო განწყობილებას, რომელიც სუფევს ფრონტსა და ჯარის ზურგს უკან. ფრონტზე აღფრთოვანებაა, ჯარის ზურგს უკან კი სევდა. სათათბიროს ტრიბუნა ხალხი რწმენით ეპყრობა, ამიტომ აქ ნათქვამმა სიტყვამ ხალხის ყურს უნდა მიაწიოს. ყოველგვარი ცდა სიტყვის თავისუფლების შესაზღუდად—ბოროტებაა. მიუხედავად იმისა, რომ ორატორი მემარჯვენეების ფრაქციის თავს ანებებს, თავს მემარჯვენეებზე მემარჯვენედ სთვლის მაგრამ ხალხის ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი მომენტი, არა თუ ამ ტრიბუნიდან უნდა ითქვას სრული სიმართლე, არამედ ავიდეს დიდ ივანეს სამრეკლოზე და ჩამორეკოს ზარი და ამცნოს ყველაფერი, მთელს ხალხს და სათათბიროს ჰსურს გამარჯვება. მაგრამ მთავრობის ქაოსმა დაარღვია და დეზორგანიზაცია შეიტანა ჯარის ზურგს უკან. მთავრობის წევრთა საქმესა და სიტყვას შორის დიდი წინააღმდეგობა ჰსუფევს. კარგი სიტყვები მოგვისმინეთ, მაგრამ ფაქტები წინააღმდეგს ლაპარაკობს. ყოველი [illegible] ზავის შესაკრავად იმის მაჩვენებელია, რომ არის ფილაც, რომელსაც ჰსურს სეპარატიული ზავი და სცდილობს კიდეც სისრულეში მოიყვანოს. ჩვენს მოკავშირეებს ასეთი გამხრწნელი სურვილი არა აქვთ. წინად ვამბობდით საჭიროა მთავრობის ნდობა საზოგადოებისადმი, მაგრამ ეხლა არა თუ ამის თქმაც არ შეიძლება, პირიქით საეჭვო ხდება მთავრობის ავტორიტეტი და მისი მამულიშვილობა. მემარჯვენეებს ჰსურთ მთავრობასთან მუშაობა, მაგრამ რას აკეთებს თვით მთავრობა, გარდა იმისა რომ აულია წითელი კარანდაში და სიტყვებს ჰშლის. შემდეგ ორატორი ამბობს, რომ ასეთს უწესოებას ხალხი ვერ წაითმენს, რადგან ხალხმა იცის რომ ეს მოწინააღმდეგისთვის არის ხელსაყრელი. ორატორი არკვევს მთავრობის მოქმედებას და აღნიშნავს მრავალ წინააღმდეგობას უწყებათა და თათბირთა შორის. შემდეგ ეხება სურსათის საქმეს და აქაც მთავრობის მოქმედებაში სრულს წინააღმდეგობას ჰხედავს.

საღამოს თერთმეტის ნახევარზე კრება იხსნება. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჰსურს განმარტება მოახსენოს მაგრამ ასტყდება ხმაურობა და იძახიან: „ძირს“! თავმჯდომარე მოუწოდებს დაწყნარდითო, მაგრამ არ წყნარდებიან. საქმე იქამდის მივა, რომ ჩხეიძეს, სკობელევს, კერენსკის და ხაუსტოვს 8 სხდომაზე დასწრებას აუკრძალავენ და გამოსდევნიან.

კერენსკის ამბობს; თუ გაგვდევნით, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სათათბირო ხალხს ვერ იხსნისო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტრიბუნაზე გამოჩნდება. კვლავ ასტყდება ხმაურობა. თავმჯდომარე ჩხენკელს მოუწოდებს წესიერება დაიცავიო ჩხენკელსაც 8 სხდომიდან სდევნიან. ყოველ გამოდევნილს გასამართლებლად სიტყვის ნებას აძლევენ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლაპარაკის დროს წამოხტა სუხანოვი და სიტყვით მიჰმართა დეპუტატებს. მოუწოდეს წესიერება დაიცავიო, მაგრამ არ გაჩუმდა. სათათათბიროს თავმჯდომარე იძულებული შეიქმნა სათათბიროს დადგენილების სისრულეში მოსაყვანად პოლიციისთვის მიემართნა.

თათბირის შეწყვეტის შემდეგ სუხანოვი თავის ნებით გავიდა.

## ქართული პრესა.

სახელ. სათათბიროს საუწყებოთა შორისო კომისია საქალაქო დებულების კანონ პროექტის განხილვას შეუდგა. ამის შესახებ გაზ. „თან. აზრი“ ამბობს:

ყველა ქალაქებში, როგორც საგუბერნიო, ისე სამაზროში, საარჩევნო უფლებას საფუძვლად კურიალური სისტემა დაედვა. ყველა ქალაქების ამრჩევლები სამ კატეგორიათ, სამ კურიათ ნაწილდებიან. თითეულ საარჩევნო კურიაში შედიან ყველა ის ამრჩევლები, რომლებიც ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოთ რაიმე გადასახადს იხდის იქნება ეს სამრეწველო თუ ბინის გადასახადი. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ეს ამრჩევლები, როგორც ვსთქვით საარჩევნო კურიებათ არიან დაყოფილნი, გადამხდელნი სამ ნაწილათ იყოფიან. ის მსხვილი გადამხდელნი, რომელნიც ყველა გადასახადის მესამედს იხდიან, პირველ კურიას ადგენენ: საშუალო გადამხდელნი, რომელნიც გადასახადის მეორე მესამედს იხდიან, მეორე კურიაში ირიცხებიან, ხოლო დანარჩენნი მესამე კურიას ეკუთვნიან. ფაქტიურათ პირველი და მეორე კურია მსხვილ ვაჭარ-მრეწველთა და სახლის პატრონთაგან შესდგება. თითეული კურია ირჩევს ხმოსანთა მესამედს. საქალაქო არჩევნებში ახალი კანონ-პროექტით დიდი შეძლების ხალხი გადამწყვეტ როლს თამაშობს, ვინაიდან თვით საარჩევნო კურიებათ დაყოფას ძველებურათ გადასახადების საერთო რაოდენობა ედება საფუძვლათ. პირველ ორ კატეგორიას, რომელიც დიდი შეძლების ხალხისაგან შესდგება, ხმოსანთა უმრავლესობა ეკუთვნის, ამას ზედ უნდა დავუმატოთ ის ფორმალური და საარჩევნო წესი, რომელიც პირველსა და მეორე კატეგორიის ამრჩევლებთ გაცილებით უკეთეს პირობებში აყენებს, ვიდრე მესამისას, რომელშიაც უმთავრესათ წვრილი გადამხდელები და პატარა ცენზის პატრონები შედიან პირველი კატეგორიის არჩევნები ერთ საარჩევნო კრებაზე მოხდება, მეორესი უკეთუ ამრჩევლებთა რიცხვი ერ-

თობ ბევრია საარჩევნო უბნებათ იყოფა, მესამე კურიაში აუცილებლათ ამრჩევლები უბნებათ არიან დაყოფილნი თავისთავათ საგულისხმოა, პირველ კატეგორიაში ამრჩეველთა მიერ კანდიდატების დასახელება შეთანხმებით ხდება, აქ არც ერთი ამრჩევლენი ხმას არ კარგავს; ამასთან აქ საარჩევნო წესი, კანდიდატების დასახელება პარაობებით ხდება სოლო მესამე"ი საარჩევნო კურიაში ამრჩევლები მრავალ უბნებათ იყოფა, რაიც ამრჩეველთა საერთო შეკავშირებას ანაწილებს, აქუცმაცებს და მით შედარებით პირველებთან უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. ერთი სიტყვით, საქალაქო ახალმა კანონპროექტმა არსებითათ არაფერი შესცვალა. ახლაც, როგორც წინათ ამრჩეველთა პლუტოკრატიული ელემენტები საარჩევნო კამპანიის დროს ბატონობენ და საქალაქო მართვა გამგეობა ძველებურათ მათ ხელში იქნება. არსებულ პირობებში, როცა მთელი იმპერიის ბატონ-პატრონობა მსხვილი მემამულეთა ხელშია, შეუძლებელია რაიმე კანონ-პროექტი გამოსცენ, რომელიც დემოკრატიულ მცხოვრებთ ამა თუ იმ საზოგადოებრივ დაწესებულებაში საპატიო ადგილს დაუთმობს.

დღეს საქალაქო მართვა გამგეობა ერთგვარი სახელმწიფოთა სახელმწიფოში, რომელიც დიდი ეკონომიური უფლებით სარგებლობს. ასეთ დაწესებულებებში დემოკრატიის გაბატონება სრულიათ მოუხერხებელი და წარმოუდგენელია.

ამიტომაც არის, საუწყებათა შორისო თათბირმა საქალაქო საარჩევნო სისტემაში ძველებური წესი თითქმის უცვლელათ დასტოვა და მით ქალაქის დემოკრატიას საარჩევნო უფლების მიცემაზე უარი უთხრა.

## რისთვის სტირის ზეცა და რათა ჰგოდებს დედამიწა.

ზღაპრული ოცნების ნაყოფო, მშვენიერო ტურფა ქმნილებავ, თვალწარმტაცო დედა მიწა!

აღზნებული უაღრესი სიყვარულით, შენი ტრფობის ალით ვიწვი და ვიდაგები.., ისმინე აჯა და ვედრება ჩემი, მომაპყარ უმანკოებით აღსავსე თვალნი შენნი და გამიკურნე მომაკვდინებელ წყლულთაგან წამებული გული ჩემი. გთხოვ, გევედრები!.. შევუერთდეთ, დავკავშირდეთ და სიყვარული დავდოთ საფუძვლად მომავალ ჩვენის ბედნიერებისა.. უშენოდ კი, ჩემი ცხოვრება შეუძლებელია. განა არ ხედავ, თუ როგორ და რაზომ ვიტანჯები?!.

ასეთი თხოვნით მიმართა ზეცამ დედამიწას.

—ეჰ, ჩემო ძვირფასო, ძლევა მოსილო რაინდო! ნეტა იცოდე, თუ როგორ მიყვარხარ მეც! დიდი ხანია, რომ ვიწვი და ვიდაგები შენი სიყვარულით. და ეს იმ დღიდან, როს განგებამ შენ მოგავლინა ჩემდა მფარველად. სწორედ იმ დღიდან შემოქმედის უხილავი ძალით ჩემში აღიძრა შენდამი ტრფობა. მაგრამ დედობრივი გრძნობა ნებას არ მაძლევდა მეხილა შენთვის ჩემი უმწიკლო გულისთქმა... ვშიშობდი კიდეც, ვინ იცის რა მოჰყვება სიყვარულს მეთქი...—უპასუხა დედამიწამ.

ზეცა გაბრწყინდა, იმედის ფრთები შეისხა და სიხარულით აღფრთოვანებული, ალისფერ მღელვარე ტუჩებით გადაეხვია დედა მიწას...

ცა და დედა მიწა დაქორწინდენ.

სიყვარულით აღსავსენი, ვნების ტალღებში ჩაქსოვილნი უზენაეს სიტკბოებას განიცდიდენ ისინი.

ზეცა უხვის საჩუქრებით უმასპინძლდებოდა დედა მიწას. მან გაშალა თავისი მკერდი და იქიდან გამობრწყინდა ცხოველმყოფელი მზე. მისმა ჯადოსნურმა სხივებმა საუცხოვო ყვავილებით შემოსეს ნაზი და ვნებით სავსე არსება დედა მიწისა განცხოველებული იგი სიცოცხლის ედემათ იქცა.

დიადი ს-რათის მჭერეტელი ზეცა კი, სიხარულის უმაღლეს ნეტარებას განიცდიდა. მაგრამ ის, რამაც მას უდიდესი ბედნიერება მიანიჭა, იყო ის ღვთაებრივი ქმნილება, რის მსგავსიც ქვეყნიერებაზე არ მოიძებნებოდა.

ეს იყო უზენაესი სილამაზით შემკული, ნაშთი უმწიკვლო სიყვარულისა—ადამიანი.

—აბა ჩემო ტურფა ქმნილებავ!—ეუბნებოდა ზეცა დედა მიწას,—შეხედე თუ რა მშვენიერი ნაყოფი მოგვცა სიყვარულმა. ოცნებითაც კი არ შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ ჩვენ ასეთი სანეტარო შვილები გვეყოლებოდა. დახე რა ფაქიზი და მოხდენილნი არიან; გახსოვდეს, რომ ესენი არიან სიმბოლო იმ უმწიკლო კავშირისა, რომელიც დამყარდა ჩვენ შორის. დღეიდან მათზე ზრუნვა და პატრონობა უნდა შეადგენდეს ჩვენს საერთო წმინდა მოვალეობას.—უთხრა ზეცამ დედა მიწას და განშორდა.

ადამიანები მრავლდებოდენ. ლაღი გული დიადი ბუნებისა ედემათ ექცა მის საყვარელ შვილებს. ბუნების შვილთა ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო-და-უფრო მეტის სიძლიერით სჩქეფდა და ვითარდებოდა სიცოცხლის ნაკადული.

ბედნიერი მშობლები კი სიხარულით შეჰყურებდენ თავის სასიქადულო შვილებს. მაგრამ საბოლოო არარის რა ამ ქვეყნად. უკუღმართმა ჟამთა მსვლელობამ და დროთა ვითარებამ შეიშურა ბუნების ასეთი ბედნიერება და მოინდომა მისი შერყევა...

ერთხელ ზეცამ შეამჩნია, რომ დედამიწაზე არა ჩვეულებრივი რამ ხდებოდა. კაცთ ნათესავთა შორის ჩამოვარდნილიყო შუღლი და მტრობა, ატეხილიყო საშინელი შფოთი და აურზაური. ადამიანები ერთმანეთს დასეოდენ აფთარებივით და სისხლის ნაკადულს მოერწყო არემარე...

ზეცა შეკრთა, განცვიფრდა და შავი ღრუბელი გადაეკრა მის ნათელ სახეს. მან არ იცოდა რითი აეხსნა ეგოდენი მოულოდნელი უბედურება. იფიქრა, ყველაფერი დედა მიწის ბრალიაო და განრისხებულმა საშინლად დაიჭექა და დაიგრგვინა.

და დასასჯელად ელვა და მეხი მოუვლინა მან დედა მიწას..

საოცარმა ქუხილმა მოიცო მთელი მსოფლიო.

ზეცა დრტვინავდა, იგი ვაებითა და გოდებით დასტიროდა თავის ძვირფას შვილებს, რომელთაც უებარი სიყვარულითა და მზრუნველობით მოეპყრო მათი მშობელი დედა... მაგრამ შვილებმა ვერ სცნეს და ვერ დააფასეს ეს. ვერ შეითვისეს ძმურათ ერთმანეთი.

გრგვინავდა განრისხებული ზეცა, რომელიც ელვით გზას იკაფავდა და მეხით კი, გულს უგმირავდა დღეს განწირულს, ხოლო ოდესღაც მის ღვთაებას, სატრფო დედა მიწას

დედა მიწა კი დაწყლულებულის გულით და სიბრალულის თვალით სჩცოდავათ შეჰყურებდა ზეცას, სურდა ეხსნა მისთვის, რომ მას არავითარი დანაშაული ორგულობა და ღალატი არ მიუძღოდა არც მის წინაშე და არც შვილებთან—ადამიანებთან. პირიქით მისი ყოველგვარი ცდა, რათა მოეწესრიგებინა და უზრუნველეყო შვილების ცხოვრება, უნაყოფო გამოდგა.

განვლო რისხვამ, დამშვიდდა ზეცა და ღრუბელი გადიყარა.

—ნუ მირისხდები უსამართლოდ, მაკამარე გვემა, მშვიდათ მოისმინე ჩაგრული დედის გულიდან ამონაკვნესი, ცრემლში ამოვლებული სიტყვები—შესჩივლა დედა მიწამ ზეცას.—ეტყობა ბედს შეშურდა ჩვენი ბედნიერება. მე ყოველთვის მზათ ვიყავი ძვირფასი და სანატრელი შვილების სურვილი ამესრულებია. ისინი ხომ თავისუფალი სიყვარულის ნაყოფნი არიან; მათდამი ზიანის მიყენება თითონ იცი, პირობისამებრ ჩვენ არ შეგვეძლო.

თავისუფალი ქმნილებანი, ჩვენ თავისუფალი სურვილით შევამკეთ, მაგრამ მინიჭებული ბედნიერებით ისინი არ დაკმაყოფილდენ. შედეგათ ამას მოჰყვა მათ შორის შუღლი და მტრობა. მოინდომეს ერთმანეთის განადგურება. ეხლა რა ვქნა, რა გავაწყო.. სისხლით მოსვარეს მათ ჩემი გული... რატომ არ გებრალები..

შეწუხდა ზეცა, როს იხილა, თუ რაზომ იტანჯებოდა უდანაშაულო მსხვერპლი მისი მრისხანებისა.

ვერ აიტანა მან ასეთი ვაება და წასქდა უშრეტი ცრემლის ნაკადული.

იმ დროს, როგორც კი მიწაზე დაინთხევა ადამიანის სისხლი, დრტვინავს და სტირის ზეცა, სტირის, რომ ხედავს შვილების—ადამიანთა უბედურებას, მაგრამ რა ჰქნას, მათი შველა მას არ ძალუძს.

შესტირიან ერთმანეთს ზეცა და დედა მიწა.

დედამიწას აჩრჩოლებული გულიდან ამოსდის ცეცხლის ალმური. ოხრავს ის და ცეცხლის ნაკადულს ისვრის გულის სიღრმიდან.

ზეცა კი დასტირის მას. მისი ცრემლებით აღივსო ზღვები და ოკეანები, მაგრამ შვილების უბედურებით გულდამწვარი დედამიწის გული მაინც ვერ გაანელა, ვინადან მისი გული კვლავ იწვის და იდაგება.

და ადამიანმა კი ზნე არ იცვალა. ის კვლავინდებურათ განაგრძობს სისხლის ღვრას მშობლების ტანჯვა მას არ აწუხებს მამის ოხვრას და მდუღარე ცრემლებს. მან ჭექა-ქუხილი და წვიმა დაარქვა, ხოლო დედის ცეცხლს კი ვულკანი უწოდა

შ. ცომაიარელი.

## ახალი ამბავი.

დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება აშუღების საღამო, ცნობილი აშუღის ჰაზირას მეთაურობით.

✦ ფქვილი. პურის ფქვილის უქონლობის გამო ქალაქში პური საკმაოდ კვალად არ ცხვება. ქუთაისის გუბერნიისათვის ყოველ თვიურად საჭირო ყოფილა 135 ვაგონი პურის ფქვილი. ჩრდილოეთ კავკასიაში შეუძენია ქალაქის გამგეობას და ამ ახლო მომავალში მიიღებს 45 ვაგონ პურის ფქვილს. ამათში 20 ვაგონი კარგი ღირსების თეთრი ფქვილი ყოფილა, ხოლო 25 ვ. კი უფრო დაბალი ღირსების. ქალაქი მოელის აგრეთვე 13 ვაგონ ფქვილს ქ. ეისკიდან, საიდანაც 13 ნოემბერს გამოუგზავნიათ. ნოვოროსიიში შეძენილი ყოფილა 34 ვაგონი ფქვილი, რომელსაც ამ დღეებში მიიღებს ქალაქის გამგეობა.

✦ კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორს ისტომინს ნიშნავენ უმაღლეს თანამდებობაზედ, მის თანამდებობაზე გადმოჰყავთ ირევნის გუბერნატორი ბ-ნი ეტრელბიცკი.

✦ ქუთაისის ხელოსნებმა შუამდგომლობა აღძრეს პოლიცმეისტერის წინაშე, კრების ნებართვის შესახებ, რომელზედაც განხილულ იქნებოდა ნორმალური დასვენების საკითხი, მაგრამ მათ კრების ნება პოლიცმეისტერმა არ დართო.

✦ წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში განახლდა უკვე მეცადინეობა რაიცა მოწაფეთა შორის ყელ-ჭირვების გაჩენის გამო დროებით შეწყვეტილ იყო.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ლ. ნიკიტინი, რომელიც სხვადასხვა საქმეების გამო ბათუმში იყო, უკვე დაბრუნდა ქუთაისში.

როგორც გაზ. „საქართველოს" გაუგია, მეფის ნაცვლის კანცელარიის მიერ შემუშავებულ კავკასიის ერობის პროექტს საფუძვლად დაედება უმცირესობის (სომეხთა) მიერ გამოთქმული აზრი. ამ პროექტის მიხედვით საერობო საბჭოში იქნება ქართველი 22, ხოლო სომეხი 24 კაცი.

✦ ქალაქის სასანიტარო კომისიამ სასანიტარო წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა მოშა იაკობის ძე თავდიდიშვილს.

✦ სოფელ ნოსირში (სენ. მაზრა) მასწავლებლად ნამყოფმა პოპ. ბარბაქაძემ რევოლვერით მძიმეთ დასჭრა ამავე სოფლის სახალხო სკოლის მასწავლებელი: პროპორშიკი ბარბაქაძე დააპატიმრეს, ხოლო დაჭრილი ჩამოიყვანეს გუშინ დილით ქუთაისში და მოათავსეს ადგ. საავადმყოფოში.

✦ ნავთის დამტარებელმა „მეტაჰკებმა" გაფიცვა უკვე დაასრულეს, რადგანაც ნავთის მოვაჭრე ზაქრო დოლიძემ გაფიცულთა მოთხოვნილებანი უკვე დააკმაყოფილა დღეს ხუთშაბათს, 24 ნოემბერს მუშაობას შეუდგებიან.

✦ გუშინ ქალაქის ქიმიური ლაბარატორიის გამგემ ანალიზი გაუკეთა ვარლამ მარკოზის ძე დვალის პურის საცხობში გამომცხვარ პურს, რომელიც სიმინდის და ქვავის ფქვილ შერეული აღმოჩნდა. დვალი პასუხის გებაში იქნა მიცემული.

✦ წყალ ნარევი რძით ვაჭრობისათვის ოქმი შეუდგინეს შემდეგ რძის გამყიდველებს: ლავით მდივანს, ჩაპიძეს და მარიამ ხაბურძანიას.

✦ როგორც სოფელ სიქთარუადან (შორ. მაზრა) გვატყობინებენ იქ წასულ კვირაში მიქელა სირბილაძის ცოლს მაიკოს დანით მოუკლავს იაგორ სირბილაძე, მკვლელობა მომხდარა რომანიულ ნიადაგზე. მკვლელი დააპატიმრეს და გადასცეს სასამართლოს.

### გუბერნატორის კანცელარიის ცნობები.

— 10 ოქტომბერს, დავით კალაძეს, მოუპარავს აჯამეთში, ანანოვის ქარხნიდან მანქანის ღვედი ღირებული 600 მან. და მიმალულა.

— დ. სამტრედიაში 12 ნოემბერს ადგ. ვაჭარს ავაზაკებმა მისწერეს წერილი, რომლითაც მოითხოვდნენ 1000 მანეთს, უნიშნავდენ ადგილს სადაც უნდა მიეტანა ფული. ფულის მიტანის მაგივრად ეს უცნობებია ვაჭარს ადგ. ბოქაულისთვის, რომელსაც გაუგზავნია ჩაფრები დანიშნულ ადგილს, ჩაფრებს შეუპყრიათ ავაზაკები რომლებიც აღმოჩნდნენ კულაშის საზ. მცხოვრები გლეხი იასონ შენგელია და ანდრია კვანტალიანი.

— სოფელ ცივაში (სენ. მაზრა) 3 ნოემბერს ღამის 3 საათზე ქუთაისიდან სახლში ბრუნდებოდა ლარვენტი იაკიმეს ძე კურდღლაძე. ის მატარებლიდან გადმომხტარა პლათფორმა ცევაში და გამგზავრებულა შინისკენ. გზაში საბრალო, გადჩეხილა ხრამში და იქვე მომკვდარა.

— სოფელ ლეჯოკეში (ზუგდ. მაზრა) 12 ნოემბერს, რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები თავს დასხმიან ალექსი პაპასკირს წაურთმევიათ 40 მან., ხანჯალი რევოლვერი და მიმალულან. ძიების შემდეგ პოლიციას დაუპატიმრებია ერთი მათგანი ჩიქოვანი და გადაუცია სასამართლოსათვის.

## კავკასიის ქრონიკა.

— საქართველოს ეგზარხოს უშუამდგომლებია, რომ თფილისის სასულიერო სემინარია განთავისუფლებულ იქმნას ლაზარეთისაგან. ეს შუამდგომლობა შეწყნარებულია. სამინისტროს საევაკუაციო ნაწილის უმაღლეს უფროსის უ. პ. ა. ოლდენბურგის პრინცისაგან ბრძანება მოსულა, რომ ლაზარეთი № 45 სემინარიის შენობიდან გორში გადაიტანონ.

— **ბაქოს** ქართულმა დრამატიულმა კომიტეტმა ბ. აკაკი ხოშტარიას თავმჯდომარეობით გადასწყვიტა გადასდოს 12,000 მანეთი ისტორიული ტანისამოსების და საგანძურის შესაძენად. ფულები მოაგროვეს ა. ხოშტარიამ, ნავთის მრეწველმა ჯაყელმა და სხვამ. ამ საქმის მოგვარება მიანდეს ახლად მოწვეულ რეჟისორებს ალ. წუწუნავას და შალვა დადიანს. ტანისამოსები უნდა შეიკეროს ნამდვილ ისტორიულ ეპოქის მიხედვით, ამიტომ ესკიზების შედგენას დაუკვეთენ ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას. კომიტეტმა გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოთ შემუშავდეს ისტორიული ტანისამოსის ტიპი და არა ისეთი არეულ დარეული, როგორც აქნობამდის იყო. აგრეთვე უნდა დააწესონ საზღაპრო ტანისამოსის ტიპი „ლუბოკის" შემუშავებით, ეგეც ხელოვანთა საზოგადოების ესკიზებით. „საქ."

— **სარაყამიშიდან** „საქართველოს" სწერენ: ნოემბრის 10, შესაზარი ამბავი მოხდა. სარაყამიშის ახლომახლად გზის საჭიროებისათვის კლდის ტეხვას ბევრი მუშა ედგა (უმეტესობა ქართველობა იყო). სადილობის დროს ყველა თავიანთ ბინაზე დაბრუნდა ერთ მათგანს ორმოდგან ამოღებული და გაყინული დინამიტები ჰქონია, იქვე ახლოს ყოფილა ღუმელი, რომელზედაც მას ჯოხები დაუწყვია და მაზე დინამიტი დაუდვია გასათბობად. დინამიტი მეტად გამთბარა, გამსკდარა და დაუხოცნია 42 კაცი მუშა, 8 კაცი დიდათ დაზიანებულა, ორი კი რაღაც სასწაულით გადარჩენილა, სულ 52 კაცი ყოფილა. ეს მოიჯარადრე ვასო რცხილაძის მუშები ყოფილან და იმ დახოცილებში მისი ძმა კოტეც ურევია თურმე.

**თფილისი.** მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარდგომია თბილისის მაზრის თავ. აზნ. წინამძღოლი თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი, რომელიც დარბაზობას შემდეგ მათ უმაღლესობის მიერ მიწვეულ იქმნა საუზმეზე

— იქიდამვე იწერებიან: ქ. საქვ. საზ. გამგეობას თამამშევისაგან, რომელიც ლტოლვილთა საქმეს განაგებს კავკასიის ფრონტზე, უარი მიუღია დაბრუნებულ მაჰმადიანთა დახმარებაზე იმ მოსაზრებით, რომ ბათუმის კომიტ[illegible] მოქმ. საზოგადოების ცნობ[illegible] ხებ ვითომდა ნამდვილ[illegible]

— **სიღნაღი.** სექტემბრიდან აუ არებელი მთხოვნელი მიაწყდა ქალთა მარინეს პროგიმნაზიას, მაგრამ 60 ბავშვი, გამოცდა ჩაბარებული, უადგილობის გამო მიუღებელი დარჩა. მშობლებმა ითხოვეს მეორე განყოფილება გაეხსნათ, მაგრამ დღევანდლამდი არ გაუხსნიათ.

— **ბათუმი.** ბატუმსკია ვესტი-ს 16" და 17 ნოემბრის ნომრებში მოთავსებული ყოფილა ანგარიში იმ სხდომისა, რომელზედაც ირჩეოდა ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების შუამდგომლობა დაზარალებულ და დაბრუნებულ ქართველ მაჰმადიანთა სამეურნეო დახმარებისათვის 50 ათასი მანეთის გადადების შესახებ.

შუამდგომლობა დასაბუთებული ყოფილა როგორც თვის საზოგადოების რწმუნებულის, აგრეთვე დეპუტატ ჩხენკელის პირად მოგზაურობა-გამოკვლევის შედეგებით. მიუხედავათ ამისა ბ-ნ ევგენი კრინიცკის განუცხადებია, რომ „ჩემამდე არ მოუღწევია ცნობებს ქართველ მაჰმადიანთა გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ, რომელიც მოხსენებულია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების შუამდგომლობაშიო".

თვით ბ. კრინცკი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარეა და შეუძლებელია ე ისე მომხდარიყო, როგორც რუსული გაზეთი გადმოგვცემს.

## მევენახეობის და მეღვინეობის კურსები.

მიმდინარე წლის დეკემბრის ხუთიდან ხუთმეტამდის საქარის სანერგეში (2 ვერს-ა დაბ. ყვირილიდან) მოზრდილთათვის გაიმართება უფასოთ მეღვინეობისა და მევენახეობის მოკლე კურსები შემდეგი პროგრამით:

1. მიწის მომზადება ვაზის გასაშენებლათ,
2. სალვინე და საგობე (საჭმელი) ყურძნის ჯიშები.
3. ამერიკული ვაზის ჯიშები და მათი შეუგუება სხვა და სხვა ნიადაგთან,
4. ვაზის გასხვლის წესი. მყნობა, მოვლა, ავათმყოფობანი, მტერები და მათთან ბრძოლა.
5. ღვინის დაყენება და მისი მოვლა, (გადაღება, დაწმენდა, გაფილტვრა და სხვა).
6. ღვინის გაჭაშნიკება ღირსებანი, ნაკლულევანებანი, ავათმყოფობანი და საშუალებანი მათთან საბრძოლველათ. რას ქვიან ღვინის სიყალბე (ფალსიფიკაცია).

ნაჩვენები იქნება როგორ უნდა გაიგო ღვინოში სიმაგრე (სპარტი, სიმჟავე და სიტკბო).

გაიმართება. სხვა და სხვა ღვინოების დაჭაშნიკება (გასინჯვა).

კურსები დამთავრდება რომელიმე ახლო მამულში ექსკურსიით.

კურსების მსმენელებს უფასოთ დაეთმობათ საქერის სანერგეში ბინა, სანთელი, და ცხელი წყალი.

მსურველთ შეუძლიათ ეხლავე ჩაეწერონ შემდეგი მისამართით, დაბა ყვირილა საქარის სანერგის გამგეს.

ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის უფროსი სპეციალისტი კ. ბერეკაშვილი.

## ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა არაჩვეულებრივი კრება.

(დასასრული იხ. „სამშობლო" №491.)

**გ. ლასხიშვილი.** არაჩვეულებრივ კრებას არწმუნებს, რომ გელზენ კირხენის მაღნეულება უეჭველად „შავი ქვის საბჭომ". უნდა შეიძინოს. ამ აზრს იმით ასაბუთებს, რომ 1) „საბჭოს" უკვე დაუწყვია ეს საქმე; 2) შავი ქვის დამუშავების საქმის ტეხნიკურ მხარეს საბჭო უფრო კარგად იცნობს, 3) რაც ორატორის აზრით უფრო მნიშვნელოვანია; თავადაზნაურობამ, რომ სესხი აიღოს, ამ საქმის უმეტესი აქციები მსესხებელ ბანკებს უნდა დაუთმოს და, საბჭოს კი შეუძლია სესხი „საფუძთო შემოსავალით" უზრუნველ ჰყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუბერ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი იმეორებს თავის წინადადებას, რომლითაც უკანასკნელ ორატორის სიტყვის წინ კრებას მიმართა.

მდივანმა წაიკითხა ოქმი, რომელიც კრებამ ერთხმად მიიღო

„ეთხოვოს ტფილისის გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ. დ. კ. აბხაზს, რომ ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. დ. ლ. ო. ნიჟარაძესთან ერთად მან მთავრობა გაუწიოს შავი ქვის საბჭოს გელზენკირხენისეულ მადნების შეძენაში, მაგრამ თუ მოხდა, რომ „საბჭოს" შუამდგომლობა არ იქნა შეწყნარებული, მაშინ ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა დავალებით ქუთ. გუბ. მარშალმა თ-დ. დ. ო. ნიჟარაძემ თბ. გუბ. მარშლის თ. დ. კ. აბხაზთან ერთად იზრუნოს იმაზე, რომ ზემოხსენებული მამულები ორივე გუბერნიის თავად-აზნაურობას გარდაეცეს სასყიდლით.

წინადადება კრებამ ერთხმად მიიღო და ოქმში იქნა შეტანილი.

## უწესრიგობა ფოსტაში.

ვინც დაკვირვებია ფოსტის აღ-კარგს, შეამჩნევდა, რომ იქ ნაკლები წეს-რიგია. ძვირად შეხვდებით ისეთ დაბა სოფლების მცხოვრებლებს, რომლებსაც ორ-სამი ვაჟი მაინც არ ყავდეთ ომში. ზოგი მათგანი ავადმყოფია, ზოგი ომში დაჭრილი და ზოგი საავადმყოფოში იმყოფება. საწყალ კაცს სურს რამოდენიმე წლით სამშობლოს მოშორებულ შვილს რამე გაუგზავნოს. გაახსენოს თავის დედ მამა, დები, ძმები და დავიწყებული სამშობლო მხარე. საწყალ კაცს ეს საქმე ძვირად უჯდება. მარკის ყიდვის ფულს ცალკე იხდის, გასაგზავნად გამოწყობისას ცალკე, ჩამორჩენა სხვა არი და მალე გაგზავნის ქრთამი კიდო სხვა. ბევრჯერ მომხთარა საწყალ კაცს გაგზავნისთვის ამდენი ედავიდარაბება ფულით და საქმით და ის კი ვილაც ფოსტის „კულლუტს" დარჩენოდეს.

ეს ერთი და მეორე ისაა შესამჩნევი, რომ ებრაელების რაღაც სავაჭრო ნივთებს წინეთ გზავნიან და ამ გზავნაში უკვე სრულდება ორი საათი, ომში მიმავალი სალდათები იძულებულ ხდებიან იქვე გაყიდონ ორი მანეთის ღირებული ნივთი ნახევრის ფასად და ამით სარგებლობენ ისევ ის ებრაელნი და ზოგიერთ ჩვენთაგანიც. დროა ბოლო მოეღოს ასეთ უწესრიგობას.

ელ—ია.

## პროვინციის ცხოვრება.

**სამტრედიიდან** სწერენ „თან. აზრს", რომ წ. კ. ს. განყოფილებას, სამ მანეთიან წევრობის დროს, 30—50 წევრი ჰყოლია. მაშინ ფართო საზოგადოებამ თითქმის არ იცოდა არსებობდა თუ არა სამტრედიაში ხსენებული საზოგადოება; დღეს კი საწევრო ფულის დაკლებამ შესამჩნევი კვალი დააჩნია. წევრთა რიცხვი 200-მდი ასულა, განყოფილებას და მის მუშაობას სიცოცხლე ეტყობა. ახალი გამგეობა წრეულს 20 მარტიდან არის არჩეული და ამ მოკლე ხანში გამგეობას თითქმის ადაგას სამკითხველოები გაუხსნია: დაბა სამტრედიის, სოფ. სამტრედიის, სოფ. საჯავახოს და სოფ. ჯიხაიშის, აინეთის, ეწერის, გულაშის და სანაიშის. გამგეობას ღონისძიების გასაძლიერებლად სახალხო სეირნობა გაუმართავს, რასაც მოზრდილი თანხა დარჩენია. გამგეობას მუშაობა სექციებად დაუყვია. გამგეობას ადგილობრივი მასწავლებელნიც მოუმხრია, საბავშვო კითხვების მომწყობ სექციაში შედიან: ნინო ფრანგიშვილისა, აგაშა სტურუასი, სოსონაშვილი, არჩილ ახობაძე, ივანე კიკაბიძე. სახალხო ლექციების სექციაში შედიან: ვერა მელქაძე, რაჟდენ მიქაძე, ავქსენტი ნაჭყებია, გრ. ურუშაძე და ს. ხუნდაძე. მათში უმრავლესობა მასწავლებლებია, რომელნიც სწორედ ღირსშესანიშნავად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. სექციები დაუღალავად ეხმარებიან გამგეობას. 13 ნოემბერს ექიმმა ილია ჯაშმა უფასო შინაარსიანი ლექცია წაიკითხა. მაგრამ უფასო ლექციებს კითხულობენ სხვებიც.

გამგეობას აზრად აქვს სამაგალითო ერთ კლასიანი ქართული სასწავლებელი დაარსოს. როგორც ამბობენ სამტრედიელი ოცისთავები დიდ დახმარებას უწევენ წ. კ. ს. განყოფილებას. მთავარ გამგეობიდან დანიშნულ რევიზორის დ. ბოცვაძეს უკვე გაუკეთებია რევიზია განყოფილებისთვის და გამგეობის მოქმედებით დიდი კმაყოფილი დარჩენილა.

**ყვირილიდან** იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ აქაურ დამწვარი თეატრის შესახებ ბევრჯერ ყ ფილა გაზეთებში წერილები, მაგრამ ამ ხელოვნების ტაძარს ჯერ გულშემატკივარი არ გამოუჩნდა. შეიძლება ჯერ კიდევ ვინ იცის რამდენ წელიწადს გაევლო, თუ რომ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ყვირილის განყოფილებას თავი არ გამოედო. მან შეიძინა თავის საკუთრებად თეატრის ნაშთები და მის აღსადგენად პატარა თანხა შეაგროვა. ნავარაუდევია სულ ამ საჭიროებისთვის 25,000 მანეთი. ყვირილის საზოგადოება რასაკვირველია ვერ მოუვლის თავს ამ ფულს თუ მას ადგილობრივი დაწესებულებანი არ დაეხმარენ. საჭიროა ფართე დახმარება და ამ დახმარებას განყოფილება თბილისის დრამატიული საზოგადოებისაგან მოელის. მან აღძრა შუამდგომლობა ამ საზოგადოების წინაშე იმის შესახებ, რომ განსვენებული ეკატერინე სარაჯიშვილის ნაანდერძევ ფულიდან ნაწილი ყვირილის თეატრის აღდგენას მოახმარონ. ყვირილელნი დარწმუნებულნი არიან, რომ დრამატიული საზოგადოება, რომელიც სათავეში უდგია ჩვენში სასცენო ხელოვნების საქმეს, შეაგნებს ყვირილის თეატრის აღდგენის აუცილებლობას და დაეხმარება ამ საქმეში წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილებას. რამდენად გაამართლებს დრამატიული საზოგადოება იმედებს,—ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

## ვანის საზოგადოება

### (ქუთაისის მაზრა)

ვანის საზოგადოებამ კულტურულ ეკონომიურ და სხვა დაწესებულებათა დაარსებით და მათდამი მეყაითობით მის მეზობელ საზოგადოებათა შორის პირველი ადგილი დაიკავა. აქ არსებობს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილება თავის წიგნის მაღაზია-სამკითხველოთი, საკრედიტო და მომხმარებელი კოოპერატივები უმაღლესი პირველ-დაწყებითი და სხვა დაბალი სასწავლებლები და დაწესებულებები.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ გადაწყვიტა მიიღოს ზომები და ახლო მომავალში მოაწყოს სახალხო წარმოდგენების ლექციების და დროებითი კურსების სისტემატიურათ მართვა ხალხში საჭირო საზოგადო, ტეხნიკურ აგრონომიულ და სხვა ცოდნათა გასავრცელებლათ. ხოლო რადგან ამ მიზნის განსახორციელებლათ საჭიროა საზოგადოებას ჰქონდეს ერთი ისეთი თავისუფალი სახლი სადაც მას დაუბრკოლებლათ შეეძლოს საჭიროების დროს შეკრება, დაადგინა იმეცადინოს, რომ მოკლე ხანში გამონახოს საშუალება, სახალხო სახლის ასაშენებლათ და შეუდგეს მის აგებას. „საზოგადოების შეგნებული ნაწილი ძლიერის თანაგრძნობით შეხვდა ასეთ გადაწყვეტილებას. ის თავის წვლილს არ იშურებს ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. მაგრამ ვინაიდან ადგილობრივ მოკრება სახლის ასაგებად საჭირო თანხის ძლიერ ძნელია, ამისთვის გამგეობას გადაუწყვეტია მიმართოს მოწოდებით ქართველ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც გული შესტკივა და თანაუგრძნობს ასეთ მუშაობას, და თხოვოს ნუ დაიშურებს თავის წვლილს ამ წმიდა სახალხო საქმისთვის...

არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ ერთი ფრიად სასარგებლო ჩვეულება, რომელიც ამ საზ-ში იკიდებს ფეხს. თუ წინეთ ქეიფლხინის დროს სტოლის უფროსი (ტოლუმბაში) თანამეტრაპეზეთ რაიმე უწესობა დანაშაულობისთვის აჯრიმებდა ღვინით სავსე ჩაის სტაქნის გადაკვრით, დღეს სამაგიეროთ ხშირათ კულტურულ დაწესებულებათა სასარგებლოთ ფულის გაღებით აჯარიმებენ. მაგალ. ერთ ასეთ ვახშამზე თავ. რაფიელ ჩიჯავაძის და მასწ. ბ. არჩილ სულავას წინადადებით არამკითხე უხეიროთ მორაყულეთაგან წ. კ. საზ. ადგ. განყოფ. სასარგებლოთ შეიკრიბა ხუთ მანეთამდი, რომელიც გადაეცა იქვე მყოფ იმ საზ. განყოფ. თავმჯდომარეს.

8 ნოემბერს მივიღეთ გუბერნატორის მიერ დამტკიცებული წესდება „ვანის კოოპერატივისა". ამავე დღეს შესდგა საორგანიზაციო (დამფუძნებელი) კრება, რომელმაც აირჩია დროებითი გამგეობა, ხუთი კაცისაგან შემდგარი,—გედეონ მეფარიშვილი (თავმჯდომარე), არჩ. სულავა (მდივანი) დიმ. ბელთაძე, (ხაზინადარი), მიხ. რამიშვილი და გიორგი ნამიჭეიშვილი, რომელსაც დაევალა: წევრთა მიღება საწევრო და საპაიო ფულის შეკრება და საზოგადოების სხვა საქმეთა მოწესრიგება. საზოგადოება ამ საქმესაც დიდი თანაგრძნობით შეხვდა. წევრათ ჩაწერის მსურველი ბევრია ვიმედოვნებთ, არჩეულ ხელმძღვანელთა გონიერი მოქმედებით საქმე სასურველათ გაიშლება.

უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ზოგ ადგილობრივ პირთ მუშტიკრივის ცუდი სენი შეპარვია. სამწუხარო ის არის, რომ ამ სენს იმ პირთა შორის მოეკალათნია, რომელთა პროფესიას ის სრულიად არ შეეფერება. თუ ამ ვაჟ-ბატონთ მეტი ძალა შესწევთ, ვიდრე ეს მათთვის საჭიროა, მუშტიკრივის მაგივრათ კარგს იქმდენ თუ თავიანთ მოჭარბებულ ძალას ამ სისხლის წვიმების დროს სხვა რამე კეთილ საზოგადო საქმეს მოახმარდენ.

Z

## რუსეთი.

როგორც კი მოსკოვში ცნობა მოსულა პროტოპოპოვის მოხსნება უმაღლესმა მთავრობამ მოიწონაო, პეტროგრადში ხმა გავარდნილა, ტრეპოვს თანამდებობიდან განთავისუფლება უთხოვნიაო.

— თავრიდის სასახლე, რომელშიაც სახელმწიფო სათათბიროა მოთავსებული ძველი შენობაა და მისი კედლები რამდენიმე ადგილას დახეთქილია. ამის გამო გარეშე პირთ როძიანკოს განკარგულებით ნაკლებად უშვებენ სათათბიროს სხდომებზე წინად თუ 1500 კაცი იყო, ეხლა მხოლოდ 600 კაცს უშვებენ.

— ნიჟეგოროდის მეფქვილეს, მილიონერ დეგტიარევს ქალაქისათვის საქველმოქმედო მიზნებისთვის 24 ათასი მან შეუწირავს.

— შტიურმერს ვებერთელა წერილი დაუწერია იმ ბრალდებათა საპასუხოთ, რომლებიც მას წაუყენეს სათათბიროში და მის გარედ. ნამინისტრალს აზრადა აქვს ამ პასუხის ასლები საბჭოსა და სათათბიროს წევრებს დაუგზავნოს.

— შეერთებულ თავად-აზნაურთა მომავალი კრება როგორც სჩანს საინტერესო უნდა გამოდგეს. ამ კრებაზე განხილული იქნება სხვათა შორის წესდების შეცვლის საკითხი.

— ხელმეორედ შემოწმების შემდეგ ყველა თეთრ ბილეთიან მასწავლებლებს ჯარში გაწვევისაგან გაანთავისუფლებენ.

## უცხოეთი.

შარლ ბენუას ერთერთ ფრანგულ გაზეთში წერილი დაუსტამბავს, იგი საჭიროდ სცნობს მოკავშირე მთავრობათა შეერთებული ორგანოს დაარსებას.

— გერმანიასა და ნორვეგიას შორის სრული თანხმობა ჩამოვარდნილა. რამდენიმე საკითხში ნორვეგიას გერმანიისათვის დაუთმია.

— გერმანიაში შრომის საჭალდებულო ბეგრის პროექტი თურმე გენ. ჰინდენბურგს შეუდგენია. ამ პროექტის გარშემო ატეხილ აურ ზაურს თან და თან ბოლო ელება. მთავრობის ყოველივე განკარგულება ამ ბეგარის შესახებ რეიხსტაგმა უნდა დაამოწმოს და მხოლოდ შემდეგში განახორციელონ.

— გერმანიაში კვლავ შეუმცირებიათ თითო მცხოვრებზე დაწესებული კართოფილის რაოდენობა. სულზე დღეში ერთი გირვანქის მაგივრად ეხლა მხოლოდ სამი მეოთხედი ეძლევა.

— მექსიკაში მდგომარეობა თან და თან მწვავდება. მექსიკის პრეზიდენტს შტატებისთვის მექსიკიდან მისი ჯარის გაყვანა მოუთხოვია. ამაზე ვილსონს უპასუხნია: მექსიკაში ჯერ საამისო მყუდროობა არ ჩამოვარდნილა და უცხოელთა ბედი საშიშიაო.

— მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციას რომელიც ისპანიაში მოხდა, ნეიტრალურ სახელმწიფოების გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ამბობენ ამ კონფერენციის დადგენილებას ომის გაგრძელების საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებაო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ამ დროებით ქუთაისის პრესასა და საზოგადოებაში ცხარე ბჭობაა გამართული ახლად გახსნილ სემინარიაში ქართული ენის მდგომარეობის შესახებ. სიმართლის გამოსარკვევად ნება მიბოძეთ წარმომადგენით საქმის ნამდვილი ვითარება. როგორც ვიცით, წელს თფილისიდან ქუთაისის გადმოიტანეს სემინარიის სამი პარალელური განყოფილება ოთხი მასწავლებლის შტატით. რადგანაც ამ უკანასკნელთ საკუთარ საგნებში, ნორმალური რაცხვი გაკვეთილებისა არ ჰქონდათ, ყველა საგანი მათ შორის უნდა განაწილებულიყო დროებით. ამ თვის 11-ს მოხდა სემინარიის გამგეობის სხდომა გაკვეთილების გასანაწილებლად. მასწავლებელთა შორის ჩემს გარდა ქართველი არ იყო და მეც ბუნებრივად სურვილი გამოვსთქვი ამედო ქართული ენის გაკვეთილები, მეტნაირი სიტყვა კორესპონდენტის ცნობა, ვითომ მოვითხოვე მათემატიკის გაკვეთილებიც (იხ. „საქართველო" №258). ყველამ კარგათ იცის, რომ თვრამეტს ზევით გაკვეთილების აღება აღმზრდელობასთან ერთად კანონით აკრძალულია და, მაშასადამე, არ შემეძლო სამი საგნის გაკვეთილები ერთად მომეთხოვა. ამ დროს სრულიად ჩემთვის მოულოდნელად წამოაყენეს სამღვდელოების წარმომადგენელნი და ყვირილითა და მუქარით მოითხოვეს დამეთმო ქართულის გაკვეთილები სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელ ბ. ბერიძისთვის, ყვირილი და შეუფერებელი სიტყვები მამების იმ ზომამდე ავიდა, რომ დაწყებილი მსჯელობა შეუძლებელი გახდა და მეც სხდომა დავტოვე. ოქმის შედგენა სრულებით არ მომითხოვია. თვით ეპისკოპოზმა ბრძანა აუცილებლად შედგენათ ოქმი და მანვე ამ ოქმზე დაწერილ რეზოლუციით დაითხოვა სამღვდელოების წარმომადგენელნი. ჩვენი მამები აქ არ გაჩერდნენ. ადგილობრივ პრესაში გადაიტანეს საქმე და აქ როგორც იტყვიან, რწყილს აქლემი ამოჩინეს. პიროვნების ხსენება ჩვენში ადვილი და საზოგადოდ გავრცელებული იარაღია საკუთარ სურვილის გასაყვანად. ჩემ პიროვნების გარშემო ატეხილი უადგილო განკვლევაც ასეთის ხასიათისაა და მას სრულებით ყურადღებას არ მივაქცევდი, რომ საზოგადო ღირებულების ტანისამოსში არ გახვევათ იგი. ყველა ამ არარაზედ ატეხილ ალიაქოთს ორი ყალბი ღებულება უძევს საფუძვლად: ა) თითქოს მე მეორე ხარისხოვან და მარქაფა საგნად ვხვდი ქართულ ენას ანგარიშების მიზეზით და ბ) ვითომ უცენზოდ, ხელს ვკიდებდე ქართულ ენის სწავლებას.

მე რომ ანგარიშით ვოფილვიყავი გატეცებული, არც დავეჭებოდი თავს ჩემს წინანდელ სამსახურს, სადაც გაცილებით მეტი მეძლეოდა, ვიდრე ქუთაისის სემინარიაში. ქართული ენა კი შტატს გარეშე დასტოვა უწმ. სინოდმა და ასე დარჩება შემდეგი კლასების გახსნამდე. მიუხედავათ იმისა პეტრე აიღებს თუ ივანე ეს ამბავი თავიდანვე იცოდა ჩვენმა სამღვდელოებამ. რათ იქმნა ასე ავდებული ქართული ენა ქართულ სემინარიაში და მაშინ როცა ლათინურს ცალკე მასწავლებელი დაენიშნა, ქართული ენა რათ გახადეს ზედსართავ საგნად, თუნდაც დროებით, ამაზე არც მაღალს და არც დაბალს სამღვდელოებას სიტყვაც არ დაუძრავს. გაკვეთილების განაწილების დროს ქართული გაკვეთილები მე ავიღე იმ უფლებით, რომელსაც იძლევა უმაღლესი სასწავლებელი. ამ ცენზით მასწავლებლობდნენ და მასწავლებლობენ დღესაც თბილისისა და ქუთაისის სემინარიებში და სხვა ჩვენს სასულიერო სასწავლებლებშიაც. ჩემივე ცენზის მექონეს არა ერთსა და ორს პირს ხელმძღვანელობა გაუწევია [illegible] დაწესებულებებში. [illegible] იმის თქმა, რომ ქართული ენის და მწერლობის სიყვარული და ამ ნიადაგზე მუშაობის სურვილი სხვებზე ნაკლებ არა მქონია და არც მაქვს ჩვენი პედაგოგიის ისტორიაში წინდაწინ თამასუქის მიცემით სამსახური ჯერ არავის დაუწყია, მაგრამ სრულებით ჩვეულებრივი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში პირველად ჩემთან უჩვეულოდ და გასაოცრად მოეჩვენათ. რადგან ეს ასე მოხდა და ჩემთვის დღესაც გაუგებარ მიზეზით ჩემს ბუნებრივ და სამართლიანს მოქმედებას ყალბი ნიღაბი გადააფარეს და საზოგადოებას ისე მიაწოდეს—მე ყველა ამ ჭორიკანობის გასაქარწყლებლად ერთად ერთი გზა დამრჩენია. გზა მშვიდობისა და დრკუსა მისგან განცდილისა მე დღესვე ხელს ვიღებ და ეპისკოპოზ გიორგის და სამღვდელოების წარმომადგენლებს შეუძლიათ ჩააბარონ ქართულის გაკვეთილები იმას, ვინც მათ უფრო ასიამოვნებს.

მღ. მონ. ონოფრე შუშანია.

P. S. უმორჩილესად ვთხოვ ყველა იმ რედაქციას, ვინც ამ ამბის შესახებ შენიშვნები გამოუშვა, ეს ჩემი პასუხიც გადაბეჭდონ

მღ. მონ. ონ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"





## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 35 | წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| | — დილის | — 5 ს 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჰილობის. შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

# ავი სენი.

უკველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალებას უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავსანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, მხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიღამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)



მწერალ-მბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.